

საქართველოს ორგანული კანონი

**„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (პარლამენტის უწყებანი, №46, 3.12.1997, გვ. 29) 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროკურატურის მუშაკის მიერ „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევა განიხილება როგორც პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი